## მოკლედ საოჯახო მეურნეობის შესახებ



- საოჯახო მეურნეობები ძირითადად ოჯახების განკარგულებაშია;
- საოჯახო მეურნეობები საშუალოდ 35 ჰექტარს მოიცავს;
- სარეალიზაციოდ ძირითადად აწარმოებენ შემდეგ კულტურებს: ხორბალი, ქერი, ჭვავი, კარტოფილი და სიმინდი;
- სპეციალური კულტურებიდან მოყავთ ხილი, ბოსტნეული და ყურძენი;
- საოჯახო მეურნეობებში 20-დან 100 ძროხამდე ჰყავთ;
- საოჯახო ფერმული მეურნეობა დაკავებულია მესაქონლეობითა და მეფრინველეობით;
- საოჯახო მეურნეობები ბიოგაზით აწარმოებენ ენერგიას საკუთარ ტექნოლოგიურ ნაგებობებში;
- მეურნეობები მჭიდროდ თანამშრომლობენ კოოპერატივებთან;
- საოჯახო მეურნეობაში იწარმოება ორგანული პროდუქტი, რომელიც სტანდარტიზებული და სერტიფიცირებულია.



AgrarKontakte International e.V.



**30 წლიანი გამოცდილება საერთაშორისო საგანმანათლებლო და საპროექტო მიმართულებით აგრარულ სექტორში**

თუ გაინტერესებთ საერთაშორისო პრაქტიკა, დაგვიკავშირდით და ჩვენ დაგაკვალიანებთ.

AgrarKontakte International (AKI) e.V.
მისამართი: ვოლგრასვეგის ქN 31
70599 შტუტგარტი
გერმანია

ტელ.: +49 711/2140-306
მობ.: +49 172/3711303
ფაქსი: +49 711/2140-303

ელ-ფოსტა: aki-03@agrarkontakte.de
ვებ-გვერდი: www.agrarkontakte.de

მხარდაჭერით: IDLG, UNDP Empowered lives. Resilient nations.

Design: benjaminwurster.com | Photo: iStock.com/PeopleImages

# სოფლის მეურნეობის პრაქტიკა სამხრეთ გერმანიაში

www.agrarkontakte.de

AgrarKontakte International e.V.

# AgrarKontakte International e.V.

**«AgrarKontakte International (AKI) e.V.» წარმოადგენს დამოუკიდებელ არაკომერციულ ასოციაციას 30 წლიანი გამოცდილებით, რომელიც ახორციელებს საერთაშორისო პროგრამებს, პროფესიულ ტრენინგებს, სასწავლო ტურებს და სხვადასხვა კვლევებს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მიმართულებით.**

**ჩვენი მიზნებია**

- სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობაში ჩართულ სხვადასხვა ქვეყნის ფერმერებს, კომპანიებს, ასოციაციებს, კოოპერატივებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის საერთაშორისო ურთიერთობების დამყარება და გაძლიერება
- საერთაშორისო პრაქტიკის ორგანიზებით ახალგაზრდა ფერმერების მხარდაჭერა და შესაძლებლობების გაძლიერება
- ქართულ-გერმანული საგანმანათლებლო ურთიერთობების განვითარებით ცოდნის და გამოცდილების გაზიარება

# საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ

**პრაქტიკა ეფუძნება «სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას» და სთავაზობს მომავალ ფერმერებს პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას სოფლის მეურნეობაში.**

პრაქტიკის პროცესში მონაწილე პირები ცხოვრობენ და მუშაობენ გერმანულ საოჯახო მეურნეობებში და ეცნობიან სამხრეთ გერმანიის მოსახლეობას, მათ ტრადიციებს.

პრაქტიკა დამატებით მოიცავს ექსკურსიებს, სამუშაო შეხვედრებს, რომლის წარმატებით დასრულების ერთ-ერთი წინაპირობაა გერმანული ენის ცოდნა.

# მოკლე ინფორმაცია მნიშვნელოვან საკითხებზე



**ყოველწლიურად პრაქტიკაში მონაწილეობს 100-ზე მეტი ახალგაზრდა რუსეთიდან, უკრაინიდან და ყირგიზეთიდან. 2020 წლიდან პროგრამაში უკვე ჩაერთო აფრიკისა და საქართველოს წარმომადგენლებიც.**

| | |
|---|---|
| **რა?** | სოფლის მეურნეობის საერთაშორისო პრაქტიკა მომავალი ფერმერებისთვის |
| **ვისი ან/და რისი ჩართულობით მიმდინარეობს პრაქტიკა?** | ▪ **შეგირდები:** სოფლის მეურნეობის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები<br>▪ **პრაქტიკის განმახორციელებელი საწარმოები:** საოჯახო მეურნეობები<br>▪ **საგანმანათლებლო დაწესებულებები:** სასწავლებლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები, ინსტრუქტორები და ა.შ. |
| **სად ხორციელდება?** | **სამხრეთ გერმანია:** ბადენ-ვიურტემბერგი, ბავარია, ჰესენი, რაინლანდ-პფალცი |
| **როგორ ხორციელდება?** | ▪ პრაქტიკის ხანგრძლივობა შეადგენს 8 თვეს<br>▪ გერმანული ენის ინტენსიური კურსი ხორციელდება საქართველოში, ხოლო პროგრამის გაცნობითი სემინარი ბადენ-ვიურტემბერგში<br>▪ პრაქტიკა დამატებით მოიცავს საქმიან შეხვედრებს და ექსკურსიებს |
| **რატომ ხორციელდება?** | ▪ გამოიმუშავოთ პრაქტიკული უნარ-ჩვევები სოფლის მეურნეობაში<br>▪ განავითაროთ სოციალური და კულტურათაშორისი კომპეტენციები<br>▪ დაამყაროთ საერთაშორისო კავშირები სოფლის მეურნეობაში |

# პრაქტიკის განხორციელების პროცესი

სექტემბერი – დეკემბერი
**განაცხადი**

აპლიკანტებისა და პრაქტიკის განმახორციელებელი საწარმოების შერჩევა

დეკემბერი – მარტი
**მოსამზადებელი სამუშაოები**

დოკუმენტაციის გაფორმება

გერმანული ენის ინტენსიური კურსი

მარტი – ნოემბერი
**პრაქტიკა**

საოჯახო მეურნეობაში მუშაობა

შეხვედრები, ექსკურსიები

ნოემბერი
**პრაქტიკის დასრულება**

სერტიფიკატების გადაცემა

საუკეთესო მონაწილეების დაჯილდოება

www.agrarkontakte.de